დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები
სამაგისტრო პროგრამა

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი
2026

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დარბაიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Global Politics and Security Studies
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 -პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/ საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (61703 22/01/2025)
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა 2020 წელს შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა ორმაგი დანიშნულების იარაღისა და ტექნოლოგიების ექსპორტის კონტროლს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის (კანადა, არგენტინა, უკრაინა, პოლონეთი) უნივერსიტეტების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალი დონის სპეციალისტები გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევებში, რომლებიც აწარმოებენ კვლევებს უსაფრთხოების რეგიონული და გლობალური გამოწვევების თაობაზე. ასევე, პროგრამა სთავაზობს ცოდნის გაღრმავებას ისეთ სპეციალიზებულ სამეცნიერო სფეროებში, როგორიცაა კონფლიქტების გადაწყვეტა, ასიმეტრიული გამოწვევები, რეგიონული უსაფრთხოების სისტემები, მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის საკითხები, ბირთვული უსაფრთხოება, დიპლომატიური ურთიერთობები.

2021 წლის თებერვალში პროგრამას მიენიჭა ავტორიზაცია 2024 წლის ნოემბრამდე. შესაბამისად, 2021 წლიდან „გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში. 2024 წლის 14 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარადგინა „გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების“ ინგლისურენოვანი განახლებული სამაგისტრო პროგრამა.

2025 წლის 22 იანვარს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია კლასტერული აკრედიტაციის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის შემდეგ მონიტორინგის პირობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის მონიტორინგის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრების წინასწარი შეხვედრა შედგა, სადაც ექსპერტებმა იმსჯელეს რეკომენდაციების და რჩევების შესრულების თაობაზე და გაუზიარეს ერთმანეთს მიგნებები. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, „გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაზე გაიცა რეკომენდაციები 1-ელ, მე-4 და მე-5 სტანდარტებში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უნდა განეხორციელებინათ ამ სტანდარტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ გეგმიური მონიტორინგი (საფუძველი N61703, 22/01/2025).

ვიზიტი დაიწყო 23.06.2026 წელს 9:00 საათზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში. პირველი შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელსაც ესწრებოდნენ: რექტორი, კანცლერი, ვიცე-კანცლერი და სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრისას ჯუფის წევრებმა დეტალურად განმარტეს გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევების შესრულებაზე მუშაობის სპეციფიკა და მიმდინარეობა. ასევე ჯგუფის თითოეულმა წევრმა წარმოადგინა ინფორმაცია დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და იმ ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, რომელსაც ასრულებდა აღნიშნულ პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე, გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესაბამისად.

აკადემიურ პესრონალთან შეხვედრაზე დაისვა კითხვები სილაბუსების თემატიკისა და ლიტერატურის განახლების თაობაზე, ასევე კურიკულუმში მათ ჩართულობაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სასამსხურთან შეხვედრისას კომისია გაეცნო აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შეფასების მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს.

ექსპერტების ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსი. ვიზიტმა აჩვენა, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდებოდა საბიბლიოთეკო რესურსს, შესრულებული იყო. ასევე, განახლებულია ბიბლიოთეკის ბაზა იმ ცვლილებების შესაბამისად, რომელიც პროგრამის სილაბუსებში განხორციელდა და განახლდა ლიტერატურა. ბიბლიოთეკა ფლობს მრავალფეროვან აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე მსგავსი პროგრამებისთვის დადგენილ სტანდარტებს. პროგრამაში გათვალისწინებულია პოლიტიკური მეცნიერებებისა და სამოქალაქო განათლებისთვის საჭირო მიზნები და ამოცანები. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამა აქტუალურია როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ კონტექსტში და პასუხობს მსოფლიოში უსაფრთხოების გამოწვევებს. პროგრამის სტრუქტურა და კონტექსტი გამოირჩევა ორიგინალურობის ნიშნებით.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და სილაბუსებით გათვალისწინებული კურსები შესაბამისობაშია და დამაკმაყოფილებელია. პრაქტიკული კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, განავითარონ ანალიტიკური უნარები გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში.

- **რეკომენდაციები**

N/A

- **რჩევები**
  - დამატებითი განვითარების შესაძლებლობად შეიძლება განიხილებოდეს ხელმძღვანელთა სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევითი აქტივობის სისტემური მონიტორინგი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად**:

„გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 13 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის 4 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 მოწვეული. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სამი უცხოელი პროფესორი. აკადემიური პერსონალიდან უნივერსიტეტთან აფილირებულია 11 მათგანი (4 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი). ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ამჟამად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს ორი სტუდენტი, რომლის ხელმძღვანელობაში ჩართულები არიან შესაბამისი დარგობრივი მიმართულების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი.

აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა წახალისების ის პოლიტიკა, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს აკადემიურ პერსონალს პროფესიული განვითარებისთვის. შესაბამისად, მათ

საშუალება აქვთ გარკვეული გამოყოფილი თანხის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები სხვადასხვა სამეცნიერო მაღალრეიტინგულ გამოცემებში, ასევე გამოსცენ საკუთარი კვლევები (მაგ., ვახტანგ მაისაიას ნაშრომი „სამხედრო სტრატეგია და თანამედროვე ომების მოდელები“ გამოიცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხარდაჭერით). აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად სარგებლობენ ამ წახალისებით და რომ საერთაშორისო კონფერენციები არის მნიშვნელოვანი პლატფორმა ახალი სამეცნიერო კვლევების გასაცნობად და შემდეგ საკუთარ სასწავლო კურსების ახალი მასალით გასამდიდრებლად.

ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა „გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაზე, რადგან ამ პროგრამაში ძირითადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლობენ. ირან-ამერიკის კონფლიქტის გამო, 26 სტუდენტი ვერ ჩამოვიდა, თუმცა მათ უარი არ უთქვამთ ამ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლაზე. ამჟამად პროგრამაზე 6 აქტიური სტუდენტია. მართალია, ამ პროგრამაზე ბევრი სტუდენტი არ არის, თუმცა უნივერსიტეტი ცდილობს, განავითაროს და მეტი სტუდენტი მოიზიდოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ამისთვის პროგამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს განათლების საერთაშორისო გამოფენებში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რომ ამ სამაგისტრო პროგრამას არ აქვს მოგება, მას მაინც უჭერს მხარს, რადგან ეს ინგლისურენოვანი პროგრამა უნივერსიტეტის იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც ამზადებს ისეთ სპეციალისტებს, ვინც იცის, მათ შორის ორმაგი დანიშნულების პროდუქცია.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[2]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე:** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით. ექსპერტების ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ არგუმენტაციას, თუმცა იგი არ იქნა გაზიარებული.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

როგორც აღინიშნა, 2025 წლის 22 იანვარს სამაგისტრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია კლასტერული აკრედიტაციის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის შემდეგ მონიტორინგის პირობით. აკრედიტაციის საბჭომ სამ სტანდარტში (1-ლი, მე-4, მე-5 სტანდარტები) გასცა რეკომენდაციები და რჩევები. სულ გაიცა 6 რეკომენდაცია და 11 რჩევა.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების მასალები: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია,

[2] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოების კვლევები ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და გლობალური პოლიტიკის პრობლემები, რეგიონული უსაფრთხოების კვლევები (ყველა სავალდებულო კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია, გეოეკონომიკური ომი და სახელმწიფოებრიობა, მასობრივი განადგურების იარაღის სამართლებრივი ჩარჩო, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი, რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).

2. რეკომენდებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის უმნიშვნელო კორექტირება არასწორი თარგმანის გამო, ან გადახედვა შიდა შეუსაბამობების თავიდან აცილების, ან შინაარსის გადაფარვის კორექტირების მიზნით: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა და გლობალური პოლიტიკის პრობლემები (ყველა არჩევითი კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული გადაცემის კონტროლის ეროვნული მექანიზმები, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).

3. რეკომენდებულია, გააძლიეროთ ენის ცოდნის დონე: უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი და ნაშრომის ხელმძღვანელი სათანადო დონეზე ფლობდეს ინგლისურ ენას, ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას ან ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნას.

4. რეკომენდებულია, რეგულარული ინვენტარიზაცია: განახორციელეთ რეგულარული ინვენტარიზაცია, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ყველა საჭირო მასალის ხელმისაწვდომობა სრულად და კარგ მდგომარეობაში, თავფურცელის გვერდების ჩათვლით.

5. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ მეტი რესურსის გამოყოფა ლიტერატურის განახლებისთვის: უსდ-ს ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული აქვს მნიშვნელოვანი თანხა, თუმცა სამაგისტრო პროგრამისათვის აღნიშნული თანხა შეადგენს მხოლოდ 750 ლარს. მკვეთრად უნდა გაიზარდოს აღნიშნული თანხა, იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს თავიანთი მასალების განახლება და მასალების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

6. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში რეგულარულ რეჟიმში, პრაქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება.

აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს სხვადასხვა პერსპექტივიდან.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა და განახორციელა სხვადასხვა შესაბამისი ღონისძიება გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ აკადემიური ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზები განახლებული და გამდიდრებულია, და სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, გასწორებულია სასწავლო კურსების სილაბუსები რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის განისაზღვრა ინგლისური ენის ფლობის მკაფიო კრიტერიუმები, პრაქტიკაში ამოქმედებულია აკადემიური პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმი შესაბამისი უკუკავშირით. შესაბამისად, უნივერსიტეტმა გაატარა ისეთი ღონისძიებები, რამაც უზრუნველყო პროგრამის შინაარსობრივი, საკადრო და მატერიალური ბაზის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან გაცემული რეკომენდაციების შესრულებით.

რჩევები:

1. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს ჩამოთვლილი კურსების სახელწოდებების შემოკლებული, ალტერნატიული ვერსიები: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სტრატეგიული საქონლის კონტროლის და საერთაშორისო ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ და ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით (პრაქტიკული შემთხვევები).

2. სასურველია დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზება სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტს საკმარისი მეთოდოლოგიური ცოდნით.

3. მოწვეული პერსონალის დამატება გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას და სწავლების მეთოდოლოგიას უფრო მრავალფეროვანს გახდის.

4. სასურველია, დაინერგოს სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმი იმისათვის, რომ მათ შეძლონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევის შესახებ ანგარიშის წარდგენა, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერების თვალსაზრისით, რაც იძლევა დროული ჩარევის საშუალებას.

5. სასურველია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა - ხელმძღვანელებისთვის უკუკავშირის შედეგების გაზიარება, რათა მათ შეძლონ განახორციელონ საჭირო ნებისმიერი რეკომენდაცია პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

6. სასურველია ხელმძღვანელის პოლიტიკის დაზუსტება - უზრუნველყოფილი იყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სრულად იყოს ინფორმირებული სტუდენტების ხელმძღვანელობის მარეგულირებელი წესების შესახებ, მათ შორის სტუდენტების მიერ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით.

7. სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება - ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ტექსტების სრული ასლები, განსაკუთრებით ძირითადი რესურსების ასლები, როგორიც არის კოლინ გრეის "თანამედროვე სტრატეგია",

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასწავლო გეგმის მოთხოვნები. დარწმუნდით, რომ ასევე დასკანერებულია წიგნის თავფურცელიც.

8. სასურველია რესურსებთან დაკავშირებით სტუდენტების უკუკავშირის შეგროვება, სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ უკუკავშირის წარმოდგენას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და საერთო კოლექციის გაუმჯობესებას.

9. სასურველია სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლების დანერგვა იმისათვის, რომ დროულად გაზიარდეს რეკომენდაციები და/ან რჩევები თანამშრომლებთან და აკადემიურ პერსონალთან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ იყოს განხილული და გამოყენებული გაუმჯობესების მიზნით. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და დაწესებულების მიზნებთან უკეთესად შესაბამისობას.

10. სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატიურ თანამშრომლობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური ერთობლივი მუშაობა პრობლემების გადაჭრის და განვითარების გაუმჯობესების მიზნით.

11. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე შემფასებლების რეკომენდაციების სრულად განხორციელება ან მკაფიო დასაბუთების წარმოდგენა იმის თაობაზე თუ რატომ ვერ ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციები. აღნიშნული გაზრდის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიშვალდებულებასთან ერთად უფრო სასარგებლო გახადოს ექსპერტთა მოსაზრებები.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რჩევების ნაწილი და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამის განვითარებისთვის. მაგ., პირველი რჩევის შესაბამისად, დაზუსტდა *ევროკავშირის სამხედრო მიდგომები ორმაგი დანიშნულების ნუსხების მიმართ (პრაქტიკული შემთხვევები)* სახელი (მანამდე იყო „ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით,“);

მე-2 რჩევის შესაბამისად, კვლევით კომპონენტში განხორციელდა ცვლილება და კურსში: *სოციალური მეცნიერებების და უსაფრთხოების კვლევის მეთოდები* - შეიცვალა კალენდარული გეგმა (მაგ., მე-4 კვირაში დაემატა “რბილი ძალის სტრატეგიები და ანალიტიკური ცენტრების დიპლომატია”; მე-14 კვირაში - ომის ფაზების ანალიზის მეთოდი) და დაემატა შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურა (Lutmar C.,“International Relations: Emerging Debates Enduring Questions and Contending Voices”, Social Sciences Book Series, Volume 5, London 2025; Johnson, B. J., H. T. Reynolds, Jason D. Mycoff, University of Delaware, “Political Science Research Methods”, eight edition, SAGE, London, 2016; Neuman W. N., “Social Research Methods. Qualitative and Quantitative Approaches”, Seventh Edition. Boston: Allyn and Bacon, 2014; Introduction to Political Science Research Methods: An Open Education Resource, ed. Franco, Lee, Vue, Bozonelos, Omae and Cauchon. June 2020);

მე-3 რჩევის შესაბამისად, კურსზე - *ომის ხელოვნება და სტრატეგია* - მოწვეულია პოლიტიკის დოქტორი რონალდ სკოტ მაგნუმი. მონიტორინგის ვიზიტის დროს ასევე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა შესაბამისი ცვლილებები მე-7 და მე-8 რჩევების გათვალისწინებით და ექსპერტთა ჯგუფმა თვალნათლივ ნახა გამდიდრებული ბიბლიოთეკა, ასევე წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია სტუდენტთა უკუკავშირის შესახებ, რაც საბიბლიოთეკო რესურებს უკავშირდებოდა.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	სრულად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	სრულად შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	სრულად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	სრულად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	სრულად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	სრულად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	N/A
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი / შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	
2.4	სტუდენტების შეფასება	
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	N/A
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	სრულად შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	სრულად შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	სრულად შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	სრულად შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	სრულად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	სრულად შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	სრულად შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	სრულად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	სრულად შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	სრულად შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)
[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)
[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე](#)
[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურაში, სხვადასხვა კურსის სილაბუსში. პროგრამა მიზნად ისახავს გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარები გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების ანალიზისას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დარგში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას. პროგრამის შედეგების რუკის, სტრუქტურისა და კურსების სილაბუსების ანალიზისას პროგრამის მიზნები რეალისტური და განხორციელებადია.

მსგავს საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებთან შეფასება აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურის მსგავსია და მიყვება სწავლების თანამედროვე ტენდენციებს, რომლებიც ძირითადად უსაფრთხოების ახალ არაკონვენციურ საფრთხეებს უკავშირდება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სამაგისტრო პრორამის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

ის ფაქტი, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები უცხოელი წამყვანი სპეციალისტები და მკვლევარები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, უზურნველყოფს პროგრამის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

სამაგისტრო პროგრამაში „გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები“ გათვალისწინებულია ის თეორიული და ანალიტიკური ინსტრუმენტები, რაც შეესაბამება კურსდამთავრებულების ჩართულობას შრომის ბაზარზე, სადაც ისინი წარსდგებიან, როგორც ეროვნული, რეგიონული თუ გლობალური უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსები და მკვლევარები. საქართველოს გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალისტების მომზადება უსაფრთხოების საკითხებში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომი, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოება.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზნებს და ასევე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის მისიას და სტრატეგიას. ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან შეხვედრაზე ნათლად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე და მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებით შექმნილი გამოწვევების მიუხედავად, არ იშურებს ძალისხმევას, პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდეს.

ინტერვიუებმა ადმინისტრაციასთან, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, ხარისხის სამსახურთან, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან აჩვენა, რომ პროგრამის მიზნებს ამ პროგრამაში ჩართული პირები იზიარებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- კურსების სილაბუსები
- კომპეტენციების რუკა
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ხუსის ანგარიში 2024-2025 წწ.
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუები ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	სრულად შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობის მოთხოვნებს, რომელსაც კურსების შინაარსები ითვალისწინებს. პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგები ეხება მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე პროცესებსა და უსაფრთხოების გამოწვევებს, რაც აქტუალურია სტუდენტების პროფესიული უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. პროგრამის შედეგები გაზომვადი და რეალისტურია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს განათლების საფეხურის მოთხოვნებს და ადგენს შედეგებს, რომლებიც სწავლების ამ სფეროში არსებულ მოწინავე კვლევებს შეესაბამება. ისინი ორიენტირებულია გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების თეორიულ ცოდნაზე, სამეცნიერო კვლევის საფუძვლებისა და უსაფრთხოების კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიური მოთხოვნების ჩათვლით. პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტებს თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ასევე ამზადებს განათლების შემდეგი საფეხურისთვის: ისინი იღებენ საბაზისო მომზადებას მეთოდოლოგიური კუთხით, რაც მათ

განათლების მომდევნო საფეხურზე პროგრესირების საშუალებას აძლევს. ადგილზე ჩატარებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ პროგრამაში რეკომენდაციის შესაბამისად გაძლიერდა სამეცნიერო კვლევის კომპონენტი და დაემატა სოციალური მეცნიერებების და უსაფრთხოების კვლევის მეთოდების კურსი, რომელსაც სტუდენტი გაივლის უკვე არსებულ აკადემიურ წერასთან და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან ერთად. ეს კომპონენტი შესაბამისად დაემატა კომპეტენციების რუქასაც.
სხვადასხვა კურსის (სავალდებულო და არჩევითი) და მიმართულებების (სამხედრო, ეკონომიკური და ინფორმაციული უსაფრთხოება) სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სხვადასხვა კლასტერში, რომლებიც თავსებადია შინაარსის, კომპლექსურობისა და სირთულის თვალსაზრისით. წინაპირობები ვრცელდება იმ კურსებზე, რომლებიც მოითხოვენ ცოდნისა და ანალიზის უფრო მაღალ, მოწინავე დონეს, რაც ქმნის კურსების ყოვლისმომცველ სისტემას საბაზისო, შუალედურ და მოწინავე სწავლებათა გამიჯვნის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა
- სწავლის შედეგების რუკა
- კომპეტენციების რუკა
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	სრულად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გამჭვირვალეა და განსაზღვრულია ობიექტური კრიტერიუმები და სწავლის შედეგების რუკაც შედგენილია. განსაზღვრულია თითოეული კურსის სწავლის შედეგები და მიზნები. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა შეესაბამება სწავლის სფეროს და განათლების საფეხურის მიმართ

არსებულ მოთხოვნებს. გამოყენებულია შეფასების პირდაპირი და ირიბი მეთოდები, რომელიც უფრო ზუსტ ინფორმაციას იძლევა სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. თითოეულ კურსსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის ცხრილი, სხვადასხვა სწავლის შედეგთან კომბინაციაში, იძლევა სიღრმისეულ ინფორმაციას თითოეული კურსის სპეციფიკის შესახებ. ხელმისაწვდომია ვრცელი ჯვარედინი შედარება, რაც იძლევა სხვადასხვა კურსისთვის სხვადასხვა სწავლის შედეგის გაგების შესაძლებლობას. სწავლის შედეგების განაწილება კურსების მიხედვით შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მიზნებსა და სწავლის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგის ორიენტირი და სწავლის შედეგების შეფასებისა და შედარების შედეგების მონიტორინგი ხორციელდება ამ ორიენტირებთან მიმართებით, ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიის (პირდაპირი მეთოდები და არაპირდაპირი მეთოდები) გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი
- კურიკულუმის რუკა
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები
- სწავლის შეფასების შედეგების ანალიზი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუე თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	სრულად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და

განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. იგი სრულად პასუხობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასა და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების პრიორიტეტებს, რასაც, მათ შორის, ინგლისურ ენაზე სწავლების ფორმატის დანერგვა უზრუნველყოფს.
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად მიყვება სწავლის შედეგების მიღწევის პროცესს იმგვარად, რომ დაცულია სწავლის სფეროს საერთაშორისო სტანდარტები.
პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტების ევროპულ სისტემას (ECTS). კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განათლების საფეხურისა და სწავლის სფეროს საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის შინაარსი გამოირჩევა ორიგინალურობით და თანხვედრაშია საერთაშორისო დონეზე სწავლის ამ თანამედროვე ტენდენციებთან.
სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა პასუხობს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამაში გამოყოფილა სავალდებულო და არჩევითი კურსები, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ანალოგიური სამაგისტრო პროგრამების შესწავლისას. კურსის შინაარსსა და შედეგს შორის ლოგიკური კავშირის შეფასებას უზრუნველყოფს შიდა მექანიზმების მონიტორინგი. შესაბამისად, განსაზღვრულია ზღვარი სავალდებულო და არჩევითი კურსების აქტუალობას შორის. გამიჯვნა სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის არის თანამიმდევრული და ასევე მიჰყვება საერთაშორისო სტანდარტებს.
პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრულია. გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად გასწორდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ასპექტები.
პროგრამა ინტერგრირებულია თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებსა და სფეროს უახლეს კვლევით მიგნებებთან. ეს ასახულია როგორც ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსში, ისე პროგრამის ინოვაციურ სტრუქტურასა და კვლევით კომპონენტებში. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების სტიმულირება და, განსაკუთრებით, შიდა სახელმძღვანელოების გამოცემის წახალისება, ადასტურებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიდგომას სწავლის სფეროში არსებული უახლესი კვლევებისა და სამეცნიერო განვითარებისადმი. ამავდროულად, უნივერსიტეტი მგრძნობიარეა სწავლის სფეროს მიმდინარე ევოლუციის მიმართ, რომელიც დიდწილად არის დამოკიდებული საერთაშორისო სისტემის განვითარებაზე.
პროგრამის შინაარსი დამაკმაყოფილებლად შეესაბამება ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს: პროგრამა შეესაბამება საერთაშორისო დონეზე სწავლის სფეროსა და განათლების საფეხურის უახლეს განვითარებას. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მოწოდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისკენ, როგორც ინგლისურ ენაზე სწავლების ხელშეწყობით, ისე პროგრამის ორგანიზებასა და სასწავლო აქტივობებში სასწავლო წლის განმავლობაში მაღალი საერთაშორისო პროფილის მქონე მოწვეული აკადემიური პერსონალის ჩართვით. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ 2026 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ერასმუს+ კვლევითი პროგრამის ნაწილში მოიპოვა Web of Science გრანტი, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ინტერნაციონალიზაციასა და კვლევითი უნარების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- კურსების სილაბუსები
- პროგრამის განახორციელებელთა სამეცნიერო აქტივობები
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

[რეკომენდაციები](#)

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	სრულად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან: პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის სწავლის შედეგების შესახებ რამდენიმე საინფორმაციო წყაროს ურთიერთშემოწმება ადასტურებს მათ შესაბამისობას.

აკადემიური კურსების შინაარსი შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება თითოეული კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზით. პროგრამის სწავლის შედეგების დეტალური განმარტება და მატრიცა, რომელიც ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების სისტემურ ანალიზს თითოეული კურსის სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აძლიერებს კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას.

ECTS კრედიტების რაოდენობა შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, რაც ასახავს სტუდენტის განსხვავებულ დატვირთვას, რომელიც გონივრულადაა განსაზღვრული თითოეული კურსის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა სრულიად გონივრულია და ითვალისწინებს კურსების სპეციფიკურ მახასიათებლებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ყველა კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას, „თვითშეფასების ანგარიშის“ შესაბამისად. ვიზისტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ამომწურავი ინფორმაცია პერიოდული შეფასების განხორციელების ვადებსა და პროცესზე.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები, ზოგადად, შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რაც სრულად შეესაბამება მოცემული სწავლის სფეროს მიღწევებს და მოიცავს შესაბამის სფეროში არსებულ

უახლეს კვლევებს. ასევე, დაზუსტებული და განსაზღვრულია სწავლის შედეგები, რომელიც თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ამ ქვესტანდარტში გაცემული პირველი რეკომენდაციის შესრულების შესახებ უნივერსიტეტმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა დასაწყისში უკრაინელების ხელმძღვანელობით შეიქმნა, სილაბუსებში მასალა მათ მიერ იყო შემოტანილი. გაცემული რეკომენდაციის შემდეგ განახლდა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. სავალდებულო ლიტერატურა დაემატა სავალდებულო კურსებში. მაგ., *აკადემიური წერა* (Stephen Bailey "Academic Writing: A Handbook for International Students", 6th Edition, Routledge, London, 2025), *ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი* ("Europe's Economic Security" edited by Jean Pisani-Ferry, CEPR Press, Centre for Economic Policy Research, Paris, 2024; McCaffrey, C., and N. F. Poitiers "Instruments of Economic Security", working paper, issue 12, Bruegel, Brussels, 2024; Fasulo F., and Gili, A., "The Rise of Fragmentation: A New Economic Security Era", first edition, ISPI, Milan, 2024; Chitadze, N., "World Politics", IBSU, Tbilisi, 2024), *კიბერუსაფრთხოება* (President Trump's CYBER STRATEGY for America MARCH 2026.; Jurgens, J., and Dal Cin, P., Global Cybersecurity Outlook 2025, INSIGHT REPORT, January 2025; CLOUD OF WAR: The AI Cyber Threat to U.S. Critical Infrastructure, AI Imperative 2030. October 2025; Dickson, J., Harding, E., A Playbook for Winning the Cyber War, Part 4: Evaluating Iran's Cyber Strategy. The Center for Strategic and International Studies, 2025), *საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია და ანალიტიკური მოდელები* (Zaza Tsotniashvili, Hand Out for the Course "Information Security Strategy and Analytical", Caucasus International University, Tbilisi, 2025), *ჰიბრიდული ომის თეორია და ანალიზი* (Artur Gruzsczak and Sebastian Kaempf, "Routledge Handbook of the Future War", Taylor and Francis Group, London, 2024; Hybrid Warfare Security and Asymmetric Conflict in International Relations Edited by Mikael Weissmann, Niklas Nilsson, Björn Palmertz and Per Thunholm Copyright © 2021; Hybrid Threats, Vulnerable Order, by Pol Bargués, Moussa Bourekba Carme Colomina (eds.) 2022; Guillaume Lasconjarisas and Jeffrey Larsen "NATO's Response to Hybrid Threats", NATO Defense College (NDC Forum Papers Series), Rome, Italy, 2015), *სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია* (Peter Apps "Deterring Armagedon: A Biography of NATO", Headline Publishing Group, London, 2025; Surdyk, K., "Space as a New Theater of Warfare" in "ANTE PORTAS"#21/2024, at https://anteportas.pl/2024), *ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები* (Zanders, J. P., "Nuclear Terrorism and Nuclear Security Role in Global Stability", Manual Reader, Strategic Studies Institute for Research CBRN Threats,Tbilisi, 2025; Maisaia, V., "Chemical War Strategy and Society: Syrian War Case-Study", Manual Reader, Strategic Studies Institute for Research CBRN Threats,Tbilisi, 2025; Annie Jacobsen "Nuclear War: A Scenario", Penguin Random House, London, 2024;) *უსაფრთხოების შედარებითი კვლევები (შავი ზღვის აუზი, პოსტსაბჭოთა* (Kakachia, K., Stephan Malerius, Stephan Meister "Security Dynamics in the Black Sea Regions: Geopolitical Shifts Regional Orders", Springer Nature Switzerland, Cham, 2024; "South Caucasus and Black Sea Security Conference", international collection of the papers of the scientific practical conference, LEPL -DA National Defense Academy of Georgia, Gori, 2024).

ასევე განახლდა სავალდებულო ლიტერატურა არჩევით კურსებში. მაგ., *ომის ხელოვნება და სტრატეგია* (Gibradze, G., "The Factor of Military Conflicts and Nuclear Security in the 21st Century", Strategic Studies Institute for Research CBRN Threats, Tbilisi, 2023), *ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეების და რისკების ანალიზი* (Toolkit on Effective CBRN Planning and Response for Policymakers and CBRN Managers", United Nations Interregional Crime and Justice Research Institute (UNICRI) , Turin, April 2025), *ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი* (Chitadze, N., "Hybrid Warfare in the Black Sea Region: Russian Information-Psychological Operations in Georgia", in "Connections"QJ#1, PfP Consortium of Defense Academies and Security Studies Institutions, Garmish, 2024), *გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა* (Arkan, Z., "European Security and Hybrid Threats", Palgrave Macmillan Cham, London, 2025; Bongiovanni, F. M., "The Return of Geopolitics and Imperial Conflict: Understanding the New World Disorder", Palgrave Macmillan Cham, London, 2024), *ევროკავშირის სამხედრო მიდგომები ორმაგი დანიშნულების ნუსხების მიმართ (პრაქტიკული შემთხვევები)* ("White Paper on Export Control", European Commission, Brussels, 2024), *რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება* (Murray, D., "The War on the West", Harper Collins Publishers, London, 2023; Leonard, M., "The Age of Unpeace", Penguin Books, London, 2022), *მასობრივი განადგურების*

იარაღის სამართლებრივი ბაზა ("Insurance and CBRN Risks", a joint report of the Geneva Association and the International Forum of Terrorism Risk (Re)Insurance Pools (IFTRIP), Geneva Association, Geneva, September 2025), *ქბრბ საფრთხესთან დაკავშირებული საექსპორტო და სავაჭრო კონტროლის განვითარების ისტორია და მათი ძირითადი ცნებები* (Doruk, ., "CBRN Defense in the Arctic Context: Preparedness and Operational Challenges", JCBRN Defense COE, Vyskov, 2025; "NATO CBRN Defense Concept", International Military Staff, Brussels, 15 July 2025), *ტერორიზმი და კონტრტერორიზმი* (Joshua Freilich, Steven Chermak, Rachael Arietti and Noah Turner "Terrorism, Political Extremism and Crime and Criminal Justice", Annual Review of Criminology, New York, 2024; Leonie B. Jackson "What is Counter-Terrorism For", Bristol University Press, Bristol, 2024), *სპეცსამსახურები და საერთაშორისო ურთიერთობები* (Artemov, V., Rusnak, A., Trepak, V., Ostaficuk, G., Kalinin, A., "The Role of Special Services in Strengthening National Security", Multidisciplinary Science Journal, London, January 2026; Hugh Wilford" The CIA: An Imperial Story", Basic Books Inc., London, 2025).

სავალდებულო და არჩევით კურსებს დაემატა ახალი დამხმარე ლიტერატურა.მაგ., *სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია* (Dodds, K., "Border Wars: The Conflicts That Will Define Our Future", London, 2022; Freedman, L., "The Future of War: A History", Penguin Random House, London, 2019), *რეგიონალური უსაფრთხოების შედარებითი კვლევები (შავი ზღვის აუზი, პოსტსაბჭოთა სივრცე)* ("Post-Soviet Affairs", Volume 41, No.3, Tailor and Francis Group, London, May 2025; Gaber, Y., "A New Security Reality: Strategic Approaches for Wider Black Sea Region", George C. Marshall European Center for Security Studies, Garmish, 2024, https://www.marshallcenter.org/en/publications/clock-tower-series/new-security-reality-strategic-approaches-wider-black-sea-region/new-security-reality-strategic-approaches-wider), *ომის ხელოვნება და სტრატეგია* (Christensen, C.S., "End of the Conflict in the Russo-UkraineWar (2014-2025) and Its Consequences and Scenarios" in ANTE PORTAS#21/2024, see in detail: https://anteportas.pl/wp-content/uploads/2025/03/AP.XXI_Christensen.pdf; Plokhy, S., "The Russo-Ukrainian War", Penguin Publishing House, London, 2024; General David Petraeus and Andrew Roberts "Conflict: Evaluation of Warfare from 1945 to Gaza", Harpecollins, London, 2025), *ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი* (Bērziņš, J., "The Theory and Practice of New Generation Warfare: The Case of Ukraine and Syria," The Journal of Slavic Military Studies 33, no. 3 (2020): 355-380, https://doi.org/10.1080/13518046.2020.1824109; "NDI Poll: Georgian Citizens Remain Steadfast in Their Stated Aim of European and Euro-Atlantic Integration," National Democratic Institute, May 3, 2023, https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgian-citizens-remain-steadfast-theirstated-aim-european-and-euro-atlantic; Ofer, F., "The Russian Perspective on Information Warfare: Conceptual Roots and Politicization in Russian Academic, Political, and Public Discourse," Defense Strategic Communications 2, no. 1 (August 2023): 61-86, https://doi.org/10.309 66/2018. Riga.2.3), *გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა* (Flint, C., "Introduction to Geopolitics", Tailor and Francis Group, London, 2006), *ევროკავშირის სამხედრო მიდგომები ორმაგი დანიშნულების ნუსხების მიმართ (პრაქტიკული შემთხვევები)* ("Summary of Amendments to Regulations EU (2021/821) for 2024", EU Commission, Brussels, 2024).

ამავე ქვესტანდარტში გაცემული მეორე რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამის ყველა კურსის სილაბუსი გადაიხედა და შევიდა შესაბამისი ცვლილებები. რამდენიმე კურსში შევიდა ცვლილება კალენდარულ გეგმაში. მაგ., *ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი* - მე-10 კვირაში დაემატა/შეიცვალა თემა: „განვითარებული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სპეციფიკა - აშშ-ს და ევროკავშირის მაგალითებზე"; *ეროვნული უსაფრთხოების კვლევების ანალიზი და სტრატეგიის დაგეგმვა* - შევიდა ცვლილებები კალენდარულ გეგმაში მე-3, მე-10 და მე-14 კვირებში და დაემატა შესაბამისი ლიტერატურა (Bethany Allen "Beijing Rules: China's Quest for Global Influence", John Murtay (Publishers), London, 2024; John J. Mearsheimer and Sebastian Rosato "How States Think: The Rationality of Foreign Policy", Yale University Press, London, 2023; Shay Hershkovitz "The Future of National Intelligence", Rowman and Littlefield, New York, 2022); *გლობალური პოლიტიკის პრობლემები* - მე-11 კვირაში დაემატა „ნეიტრალიტეტი" შესაბამისი ლიტერატურით (Naman Karl-Thomas Habtom Neutrality After 1989 New Paths in the Post-Cold War World, Bristol, England, 2024; Stephen Mcglinchey, Leo S. F. Lin, Zeynep Selin Balci and Patrick Vernon Global Politics in a Post-Truth Age, Bristol, England, 2022; Kevin Bloor Understanding Global Politics, Bristol, England, 2022; Jan Ludert Signature Pedagogies in International

Relations, Bristol, England, 2021; P.J. Blount Reprogramming the World Cyberspace and the Geography of Global Order, Bristol, England, 2019; Stephen Mcglinchey, Rosie Walters & Christian Scheinpflug International Relations Theory, Bristol, England, 2017); *უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების თეორია და პრაქტიკა* - კალენდარულ გეგმაში მე-13 კვირაში დაემატა თემა „კიბერომი და ახალი სივრცის უსაფრთხოება“ შესაბამისი ლიტერატურით (Richard Overy "Why War", Pelican an Imprint of Penguin Books, London, 2024); *გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა* - შეიცვალა კალენდარული გეგმა და თემები უფრო დაზუსტდა; მაგ., მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კვირების თემატიკა შეიცვალა. შესაბამისად დაემატა სათანადო ლიტერატურა; *ქბრბ იარაღის გაუვრცელებლობის კონტროლის ეროვნული მექანიზმები* - შეიცვალა კალენდარული გეგმის თემები მე-2 კვირას (ქბრბ-ი საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაზე კონტროლის სისტემების განვითარების ისტორია) და მე-3 კვირას (ქბრბ-ი იარაღის გავრცელების კონტროლის საერთაშორისო ინსტრუმენტების ეროვნული განხორციელება) და დაემატა შესაბამისი ლიტერატურა (Roberto Mugavero and Heejun Shin "Safety and Emergency Medical Care in CBRN Mass Casualty Incidents", European Centre for Disaster Medicine, San Marino, 2025); *ტერორიზმი და კონტრტერორიზმი* - შეიცვალა კალენდარულ გეგმაში მე-2, მე-3, მე-5 კვირების თემები და დაემატა შესაბამისი ლიტერატურა (Joshua Freilich, Steven Chermak, Rachael Arietti and Noah Turner "Terrorism, Political Extremismand Crime and Criminal Justice", Annual Review of Criminology, New York, 2024; Leonie B. Jackson "What is Counter-Terrorism For", Bristol University Press, Bristol, 2024);

რამდენიმე კურსში მოდიფიცირდა/დაზუსტდა კურსის მიზანი. მაგ., *საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია და ანალიტიკური მოდელები* - დაზუსტდა სასწავლო კურსის მიზანი: „სტუდენტმა გააანალიზოს საინფორმაციო უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის სახელმწიფოს წინაშე არსებული ჰიბრიდული ხასიათის საფრთხეების ფონზე, კიბერუსაფრთხოების სფეროში განხორციელებული პოლიტიკის მაგალითზე“; *უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების თეორია და პრაქტიკა* - მოდიფიცირდა სასწავლო კურსის მიზანი: *„კურსის მიზანია გლობალიზაციისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების კონტექსტში ახალი უსაფრთხოების საფრთხეების ყოვლისმომცველი გაგების განვითარება. სტუდენტები შეისწავლიან საფრთხეების ევოლუციურ ბუნებას, რომლებიც აღარ საჭიროებენ ფართომასშტაბიან ძალას მთელ მსოფლიოში ინდივიდებზე, საზოგადოებებზე ან სახელმწიფოებზე ზემოქმედებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ასიმეტრიული და ჰიბრიდული საფრთხეების კონცეფციას, მათ შორის ბიოლოგიურს, და შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ეს არატრადიციული გამოწვევები პოლიტიკურ, სოციალურ, ციფრულ და სამხედრო სფეროებში. თეორიული ანალიზისა და პრაქტიკული შემთხვევების შესწავლის გზით, კურსი ცდილობს სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა და ინსტრუმენტები, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების ამ რთული გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, ანალიზისთვის და მათზე რეაგირებისთვის“; ომის ხელოვნება და სტრატეგია* - დაზუსტდა სწავლის შედეგები: "უფრო ადაპტირებულები არიან სამხედრო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან, შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი პროფესიული კავშირების დამყარების."

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის, სასწავლო კურსების განახლებული სილაბუსების და შედეგების რუკის გაცნობისას, ასევე უნივერსიტეტში ვიზიტისას აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკრედიტაციის საბჭოს დასკვნა
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან

- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ახალი ლიტერატურის ნასყიდობის დამადასტურებელი დოკუმენტები

რეკომენდაციები

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	სრულად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1_**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**	აირჩიეთ შესაბამისი

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2_**პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**	აირჩიეთ შესაბამისი

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3_სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.4 სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/ მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2 _____მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალ ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს და შეესაბამება პროგრამის სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალის აკადემიური პორტფოლიოს, უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს შესაბამის კომპეტენციებს და აქტიურად არის ჩართული როგორც სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობაში. აკადემიური პერსონალის პროფესიული საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობას, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და რეცენზირებად გამოცემებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე აკადემიურ საფუძველს.

პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ პროგრამის დაგეგმვისა და განვითარებისათვის აუცილებელ აკადემიურ და პროფესიულ გამოცდილებას, ხოლო პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის უწყვეტობას. სტუდენტთა გამოკითხვების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგები და ინტერვიუები ადასტურებს სამუშაო გარემოს, კოლეგიალური ურთიერთობების, ეფექტიანი კომუნიკაციისა და აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხის არსებობას. ასევე, სტუდენტთა უკუკავშირი მიუთითებს აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობასა და ჩართულობაზე.

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია მოწვეული პერსონალის გაძლიერების შესახებ. პროგრამას დაემატა ერთი ქართველი და ერთი უცხოელი მოწვეული პროფესორი, რამაც გააფართოვა პროგრამის აკადემიური და საერთაშორისო კომპონენტი, ხელი შეუწყო სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებას და გააძლიერა სტუდენტებისთვის განსხვავებული აკადემიური და პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**13**	**13**	**13**	**11**
- პროფესორი	4	4	4	4

- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	1	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი	12	12	12	_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	3	3	3	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- კსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- ინტერვიუე პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუე აკადემიურ პერსონალთან.

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	სრულად შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამაში უზრუნველყოფილია მაგისტრანტების ხელმძღვანელობა კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მიერ. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულიად საკმარისია არსებული კონტინგენტისათვის, ხოლო ხელმძღვანელთა სამეცნიერო გამოცდილება შეესაბამება კვლევის მიმართულებებს.

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერების შესახებ. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური თანამდებობისათვის გამოცხადებული კონკურსისათვის დაინერგა ინგლისური ენის ცოდნის

დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს პერსონალის ენობრივი კომპეტენციის განვითარებას, მათ შორის British Council-ის პროგრამების საშუალებით. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ინგლისურენოვანი პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ასევე ადასტურებს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანობას: სტუდენტთა 83% აღნიშნავს ხელმძღვანელთა აქტიურ ჩართულობას კვლევითი საქმიანობის ყველა ეტაპზე, 85.71% დადებითად აფასებს კომუნიკაციის ხელმისაწვდომობას, ხოლო მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება პრობლემების დროული გადაჭრისა და პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის მიმართულებით. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ხელმძღვანელობის პროცესი ფუნქციონირებს ეფექტიანად და სტუდენტების კვლევით საქმიანობას სათანადოდ უჭერს მხარს. სტანდარტის მოთხოვნა არსებითად შესრულებულია. წინა აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერების შესახებ გათვალისწინებულია და შესაბამისი მექანიზმები დანერგილია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევის პასუხად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილი პასუხი დეტალურად ასახავს მათი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის, სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და წახალისების მექანიზმებს და ადასტურებს უნივერსიტეტის მნიშვნელოვან კვლევით აქტივობას. თუმცა, გაცემული რჩევა კონკრეტულად ეხება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევითი აქტივობის სისტემურ მონიტორინგს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად აღწერს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ზოგად მექანიზმებსა და მიღწეულ შედეგებს. გაცემული რჩევა არ გულისხმობს სტანდარტის შეუსრულებლობას და არც უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასებას უარყოფითად. იგი წარმოადგენს დამატებით განვითარების შესაძლებლობას.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	2	2	2
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების გუნდთან;
- სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის CV-ები.

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- დამატებითი განვითარების შესაძლებლობად შეიძლება განიხილებოდეს ხელმძღვანელთა სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევითი აქტივობის სისტემური მონიტორინგი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	სრულად შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანი სისტემა. დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. შეფასების მექანიზმები მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების განხილვას, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების შედეგების ანალიზსა და მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროცესის შეფასების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ესწრება სასწავლო კურსებს და შეფასების შედეგებს უზიარებს პროგრამის ხელმძღვანელებს შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის ტრენინგების, ვორქშოფებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და ხელოვნური ინტელექტის სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენების მიმართულებით. ასევე, დაწესებულება ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მათ შორის საგრანტო პროექტების მომზადებაში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობასა და მაღალი აკადემიური რეპუტაციის მქონე გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნებაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას. აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუებში ხაზი გაესვა, რომ 2019 წლიდან უნივერსიტეტი 1000 ლარით აფინანსებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ასევე, უნივერსიტეტი უფინანსებს აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მგზავრობის ხარჯებს.

უნივერსიტეტში ტექნოლოგიების ინტეგრაცია ეფუძნება ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, როგორიცაა: „ელექტრონული მონაცემთა ბაზები და საძიებო მექანიზმები" (2021), „საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ძიება და მექანიზმები და დისტანციური წვდომა" (2021), „პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის მახასიათებლები და ნაშრომის დამუშავების წესები" (2021), „მონაცემთა ბაზების საძიებო მექანიზმები, დამუშავება და სამეცნიერო ნაშრომში გამოყენება" (2022), „საერთაშორისო გამომცემლობა Elsevier- ის ვებინარი" (2022), „Scopus-მიმოხილვა" (2023) და "ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკაში, ტრენინგი "ონლაინ სამეცნიერო რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე" (2025), "ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლა-სწავლებაში" (2025), პლაგიატის პრევენცია და ხელოვნური ინტელექტი (2026).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პერსონალის უმრავლესობა დადებითად აფასებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და სამუშაო გარემოს, რადგან მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების,

პროფესიული განვითარების და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუე აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუები თვითშეფასების გუნდთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება]	სრულად შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე სასწავლო და კვლევითი გარემო, მათ შორის სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა სასწავლო რესურსები, რაც ქმნის ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო პირობებს.

წინა რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა სტუდენტების უკუკავშირის შეგროვებას და წარმოდგენას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით, აღმოფხვრილია, რასაც ადასტურებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები. რომელთა მიხედვით, დგინდება, რომ რესურსების ძირითადი ნაწილი დადებითად არის შეფასებული. განსაკუთრებით მაღალი შეფასება აქვს ბიბლიოთეკის რესურსებსა და სასწავლო სივრცეებს, რაც მიუთითებს არსებული მატერიალური ბაზის ფუნქციონალურობასა და სტუდენტთა საჭიროებებთან შესაბამისობაზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არა მხოლოდ შესაბამის მატერიალურ და საინფორმაციო რესურსებს, არამედ აქტიურად ზრუნავს მათი ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობაზე. ბიბლიოთეკის მიერ სისტემატურად ტარდება ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების (Scopus, ScienceDirect, EBSCO, SciVal და სხვ.) გამოყენების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებას და თანამედროვე აკადემიურ რესურსებზე წვდომის ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საინფორმაციო რესურსები ხელმისაწვდომია და მათ გამოყენებას თან ახლავს შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმები.

მონიტორინგის ფარგლებში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა აღმოფხვრა წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია, რომელიც საბიბლიოთეკო ფონდების რეგულარულ ინვენტარიზაციასა და სასწავლო მასალების სრულყოფილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეხებოდა. წარმოდგენილი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ შესაბამისი მექანიზმები დანერგილია და ფუნქციონირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტში ვიზიტი;
- ვიზიტი საბიბლიოთეკო სივრცეში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სტუდენთა გამოკითხვის შედეგები.

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[4.4. მატერიალური რესურსი]	სრულად შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და განვითარების მიმართულებით გაწეული ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ, თუ წინა აკრედიტაციის პერიოდში სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის შესაძენად გამოყოფილი თანხა დაახლოებით 750 ლარს შეადგენდა და შეფასებული იყო, როგორც არასაკმარისი, რეკომენდაციის გათვალისწინებით უნივერსიტეტმა განახორციელა არსებითი ფინანსური ზრდა. 2025 წელს აღნიშნული დაფინანსება დაახლოებით 6.7-ჯერ გაიზარდა, ხოლო 2026 წელს კვლავ გაიზარდა და მნიშვნელოვნად აღემატება რეკომენდაციის გაცემის ეტაპზე არსებულ მაჩვენებელს. შედეგად, უნივერსიტეტის მიერ შეძენილია საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების შესაბამისი მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცემები, რაც ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან;
- გასაუბრება ბიბლიოთეკარებთან.

რეკომენდაციები

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	სრულად შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა შეფასების კვლევები, კვლევების შედეგებზე მომზადებული უკუკავშირის დოკუმენტები, ასევე პროგრამასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმები.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ეფუძნება სისტემურ და მრავალკომპონენტიან მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების შეფასებას, ისე მიღებული შედეგების ანალიზსა და შემდგომ გამოყენებას. პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული არიან სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და ნაშრომების ხელმძღვანელები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტის შეფასებას სხვადასხვა პერსპექტივიდან.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ კითხვარების ადმინისტრირებით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ თითოეული კვლევა მოიცავს კვლევის მიზნების, მეთოდოლოგიის, რესპონდენტთა შერჩევის, შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების აღწერას. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ უნივერსიტეტში ხარისხის შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ პროცედურებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების სისტემურ შეფასებას. წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის შეფასების ერთიანი კრიტერიუმები, დანერგა შეფასების შესაბამისი ფორმები და უზრუნველყოფს შეფასების რეგულარულ განხორციელებას. შეფასება ეფუძნება ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა სილაბუსის განხორციელების ხარისხი, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, შეფასების სისტემის ადეკვატურობა და შეფასების შედეგების ანალიზი.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს არა მხოლოდ შეფასების განხორციელებას, არამედ მისი შედეგების განხილვასა და შემდგომ გამოყენებას. კვლევების დასრულების შემდეგ მზადდება შესაბამისი უკუკავშირის დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია როგორც ძლიერი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებები და რეკომენდაციები. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ შეფასება წარმოადგენს ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტს და არა მხოლოდ ფორმალურ ადმინისტრაციულ პროცედურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2024-2025 სასწავლო წელი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- სტუდენტთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა (2024, 2025)
- კურსდამთავრებულთა კვლევა
- კვლევების შედეგებზე მომზადებული უკუკავშირის ანგარიშები

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება]	სრულად შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროგრამის განვითარება ეფუძნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის გათვალისწინებას.

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის განვითარებაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციები განიხილა არა როგორც ფორმალური მოთხოვნა, არამედ როგორც პროგრამის განვითარების შესაძლებლობა. ამის დასტურია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმის დანერგვა და მისი ინტეგრირება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში, რაც გულისხმობს იმას, რომ წინა აკრედიტაციის პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის უნივერსიტეტმა შესაბამისი ზოები მიიღო.

ამასთანავე, წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საერთაშორისო აკადემიური გამოცდილების მქონე პერსონალი, რაც ხელს უწყობს პროგრამის განვითარებაში საერთაშორისო გამოცდილებისა და აკადემიური პრაქტიკის ინტეგრირებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ გარე შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
- მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში, სადაც ასახულია გარე შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამების განვითარების მიზნით

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.2. გარე ხარისხის შეფასება]	სრულად შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ეფუძნება დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივ ანალიზს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის მართვის ციკლი, რომელიც მოიცავს მონაცემთა სისტემურ შეგროვებას, ანალიზს, შედეგების განხილვას, რეკომენდაციების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს. აღნიშნული პროცესი მოიცავს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენებას პროგრამების განვითარების პროცესში.

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ წარმოდგენილია არა მხოლოდ კვლევები, არამედ კვლევის შედეგებზე მომზადებული უკუკავშირის დოკუმენტები, რაც ადასტურებს, რომ მიღებული ინფორმაცია განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში და გამოიყენება შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სრულ ციკლს, მონაცემთა შეგროვებიდან დაწყებული, შედეგების გამოყენებით დასრულებული. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც პროგრამების მოდიფიცირების, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ პროგრამაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი შიდა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მუდმივ მონიტორინგს, მრავალმხრივი უკუკავშირის მიღებას, შედეგების ანალიზსა და პროგრამის განვითარების მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების რეგულარული მექანიზმი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას და ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაცია არსებითად გაითვალისწინა.

მიიჩნევა, რომ პროგრამა აკმაყოფილებს 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტების მოთხოვნებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს (Plan–Do–Check–Act), რაც შეესაბამება როგორც ეროვნული აკრედიტაციის სტანდარტების, ისე ESG-ის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმები და შეფასების შედეგები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა შეფასების კვლევები
- კვლევების შედეგებზე მომზადებული უკუკავშირის ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში

[რეკომენდაციები]

- N/A

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	სრულად შესაბამისობაშია

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თინათინ ქაროსანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკა დარბაიძე

ნინო პატარაია